პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР — СТРАНА СОВЕТОВ

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 256 (18798) შაბათი, 5 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

პარტიული კონფერენციები

მესაუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ძირითადად დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები, და აი, ღადგა დიდმნიშვნელოვანი კამპანიის ახალი ეტაპი — დღეიდან იწყება რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. სულ პირველად კონფერენცია მაღალმთიან მესტიის რაიონში გაიმართება.

რა პერიოდიც უნდა იყოს, პარტიული კონფერენცია მუდამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ოლქის, ქალაქის, რაიონის კომუნისტთა ცხოვრებაში. მაგრამ მათი როლი დღეს მაინც განსაკუთრებულია. ისინი ხომ პირველად ეწყობა XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების შემდეგ. ამიტომ ახლანდელ კონფერენციათა მოვალეობაა ყოველმხრივ, ღრმად, საფუძვლიანად გააანალიზონ სწორედ ყრილობების შემდგომ პერიოდში — მეთოთხმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში პარტიული კომიტეტების მიერ განეული მთელი საქმიანობა, ამ საქმიანობის პრაქტიკული შედეგები, აგრეთვე გულდასმით განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მიმდინარეობა. ცხადია, ფართო და პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართება განსაკუთრებით ხუთწლედის ამ შუაგულ წელს შექმნილსა და გასაკეთებელზე, რადგან სწორედ ამ წელიწადს უნდა დაეფუძნოს პარტიული კომიტეტების მთელი მომავალი საანგარიშო პერიოდი.

დიახ, მეტად პასუხსაგებ დროს იმართება საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები. პირველადი პარტორგანიზაციებიდან წარგზავნილი დელეგატები კონფერენციებზე მიიტანენ თავიანთი შრომითი კოლექტივების ფიქრებსა და განწყობილებას, ობიექტურად, პრინციპულად შეაფასებენ პარტიული კომიტეტების გაწეულ მუშაობას, კოლექტიური წვნით დაისახავენ ახალარჩეულ პარტიულ ორგანოთა მომავალი მოღვაწეობის ღონისძიებანი.

რა გაკეთდა დღემდე, რით იყო ღირსშესანიშნავი გასული საანგარიშო პერიოდი? უპირველეს ყოვლისა, კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ. ამაში კი დიდი დამსახურება მიუძღვით სწორედ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რომლებიც კომუნისტების, ყველა მშრომელის უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდნენ დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტას. საანგარიშო პერიოდს ახასიათებდა ნარმოების ეფექტიანობისათვის, მაღალი ხარისხისათვის აქტიური ბრძოლა, მოელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პარტიული გავლენის გაძლიერება, საამისოდ უფრო ხელსაყრელი ახალი მეთოდებისა და საშუალებების მუდმივი ძიება, მუშაობის ლენინური სტილის დაუფლებისაკენ მისწრაფება.

სწორედ საანგარიშო პერიოდში უფრო მტკიცედ გაიკვალა გზა „აბაშურმა ექსპერიმენტმა“, ცხოვრების ნამდვილი საგზური მიიღეს აგროსამრეწველო გაერთიანებებმა. პრაქტიკული კეთილი შედეგი მოყვა ფართოდ განხორციელებულ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელების საინტერესო ღონისძიებას, თბილისის, მახარაძის, ზუგდიდის, გარდაბნის და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების ინიციატივას.

იმ დიდ შეფასებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად მზადებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის თაობაზე, ისევე, როგორც სხვა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში, უკანასკნელ ხანს საქართველოს შესახებ რომ არის მიღებული, ჩვენი საქალაქო და რაიონული კომიტეტები სრულიად სამართლიანად ხედავენ თავიანთი წვლილის დიდ აღიარებასაც. რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების დიდნაყოფიერ, შემოქმედებითს მუშაობაზე შთამბეჭდავად ითქვა რუსი და ქართველი ხალხების ძმობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმზეც.

პარტიული კომიტეტების ინიციატივიანი და შინაარსიანი მუშაობა აგრეთვე თვალნათლივ ჩანს საქართველოს მრეწველობის მუშაკთა, მშენებელთა, მეჩაიეთა, მეციტრუსეთა და სხვა დარგების მშრომელთა საქმეობრივ წინათვლებში.

ბუნებრივია, რიგა ამ დადებით მუშაობაზე, შეძენილ სხვადასხვა საყურადღებო გამოცდილებაზე ვლაპარაკობთ, კონფერენციათა განსჯის თუმა ამასთან ერთად უნდა იყოს პირთუნველი და ობიექტური კრიტიკა იმ არჩევითი ორგანოებისა, ცალკეული მუშაკებისა, რომლებიც ჯერ კიდევ უგერგილოდ, უინიციატივოდ მოქმედებენ, სასურველ გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკასა თუ იდეურ-აღმზრდელობის საქმიანობაზე.

მაგალითად, ჯერ კიდევ ბევრი საწარმო, სამშენებლო ორგანიზაცია, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა ვერ ასრულებს ვერც ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს და ვერც სახელმწიფო გეგმებს, ირღვევა მიწოდების დისციპლინა. კონფერენციათა დელეგატების განსაკუთრებული პრინციპულობა უნდა გამოჩნდეს აგრეთვე პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის დარღვევების, სოციალისტური კანონიერების დამახინჯების, მექრთამეობისა და მფლანგველობის, სხვა დანაშაულის ფაქტების განხილვის დროს. როგორც მათს გამოსვლებში, ისე კონფერენციათა დოკუმენტებში კონკრეტულად უნდა ჩანდეს ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი. სალად უნდა განვსაჯოთ და ყველაფერს თავისი კონკრეტული სახელი ვუწოდოთ, ვთქვათ, თუ რით არის გამოწვეული, მაგალითად, ბიუროკრატიზმის, მაამებლობის, უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის ესა თუ ის ფაქტი, რა მიზეზია, რომ ერთგან დიდად აქტიურობენ, სასარგებლო ინიციატივას იჩენენ, ხოლო მეორეგან ყურსაც არ იბერტყავენ.

ამიტომ მთავარი და გადაუდებელი ის არის, რომ ყველგან შეექმნათ ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, საქმის გულმოდგინე ანალიზის, მოფიქრებული, სწორი განსჯა-გარჩევის ატმოსფერო, აღკვეთოთ პარადული ხმაურის, ბაქიბუქობის მცდელობის, გულარხეინობის ფაქტები, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მთელი ყურადღება დავუთმოთ გადაუჭრელ პრობლემებს.

პარტიულმა კონფერენციებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ დადებითი პრაქტიკის გაფართოებას, რომ ადგილებზე სწორად, შემოქმედებითად იყენებდნენ ეკონომიკის, საზოგადოებრივი ტენდენციების განვითარების ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, აღიკვეთოს ფორმალიზმი გაშაყუთრებით ისეთ საქმეში, როგორიცაა პერსპექტიული, დაგეგმვა, სოციოლოგიური გამოკვლევა და სხვა.

ფართოა ბჭობის, მსჯელობის საკითხები ნრე. რა თქმა უნდა, დელეგატების ყურადღების ცენტრში იქნება სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის, სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხები. ყველგან ნათლად უნდა ითქვას და გამოიკვეთოს, თუ როგორ ეხმარებოდნენ და ხელმძღვანელობდნენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, და როგორ გაუმჯობესდება იგი მომავალში, როგორ გარდაიქმნება და უფრო ეფექტიანი გახდება მთელი იდეურ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველ კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ პარტიული რიგების თვისებრივი განმტკიცების, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს.

ერთი სიტყვით, ბევრია საკამათო და განსახჯელი. წარმატება დამოკიდებულია კონფერენციათა სანმაუშოდ მომზადებაზე, კამათისათვის ტონისმიმცემ მოხსენებათა სწორად შედგენაზე, ბევრ სხვა ფაქტორზე. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში შეძენილია ამ ფორუმების მომზადება-ჩატარების დიდი გამოცდილება. მისასალმებელია, რომ სიტყვებით გამოდის სულ უფრო მეტი დელეგატი, აზრის გამოთქმისათვის იყენებენ სექციურ მუშაობას და სხვა საინტერესო ფორმებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ დღეებში ისმენს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების ინფორმაციებს, თუ როგორ მოეშზადნენ კონფერენციებისათვის, აძლევს მათ პრაქტიკულ რჩევას.

კონფერენციათა მიერ პარტიის ახალარჩეული საქალაქო და რაიონული კომიტეტები მუშაობას გაშლიან პარტიის მორიგ ყრილობამდე დარჩენილ დროში. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ, რომლებმაც კომუნისტების, ყველა მშრომელის ენერგია და ინიციატივა მთლიანად უნდა მოახმარონ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთოთხმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და ნარმატებით შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მორიგ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადებანი უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევების გამო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებისათვის სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. ეს პრემიები მიეკუთვნა მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, წარმოების ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფის, ნედლეული, ენერგეტიკული და სხვა რესურსების დაზოგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მოიწონა წინადადებანი სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. პრემიებით აღინიშნა უმნიშვნელოვანესი მიღწევები, რომლებიც თვალსაჩინო წვლილს ჰპატებენ ნვენი ქვეყნის ეკონომიკური და ტექნიკური პოტენციალის განმტკიცებას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, კადრების მომზადების სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში.

გეგმები-საოქტომბროდ

● თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშრომელები მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისიდან შეტად მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევენ. აქ წარმატებით, გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება ყოველი წლის გეგმა-ვალდებულება. გაერთიანების მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ ჩაბმული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წლის განვლილ ათ თვეში გაერთიანების კოლექტივმა მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 766 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებიდან 606 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი გაიყიდა. საწარმოში ავანგარდიელებულ მომპირნეობის რეჟიმს, საწარმოო და ტექნიკური დისციპლინის განმტკიცებას თავისი შედეგი მოჰყვა— გაერთიანების მშრომელებმა მოგების გეგმის 331 ათასი მანეთით გადაჭარბებს, წლის განვლილ პერიოდში დაზოგეს 2700 კგ. ნედლეული.

დიდი ოქტომბრის 66 წლისთავის დღესასწაულს წლიური გეგმის შესრულება უპატაკეს საქსოვი საამქროს ვ. გეგეშიძის, თ. მელაძისა და რ. გოგიშვილის ბრიგადებმა, მქსოველებმა ც. კილასონიამ, დ. ბაბიამ, გ. მამუჩაშვილმა, ხ. თედეშვილმა, გ. პოტიომკინამ და სხვებმა.

● ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის (უფროსი უ. გურეშიძე) კოლექტივი, რომელსაც წელს მეტად რთულ საშთო-გეოლოგიურ ზონაში უხდება მუშაობა, დამიმდებელი შედეგით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს. საწარმომ ვადაზე ერთი დღით ადრე შეასრულა ენერგეტიკული ქვანახშირის ამოღების ათი თვის სახელმწიფო დავალება.

იანვარ-ოქტომბერში ორჯონიკიძელებმა მომხმარებელს საგეგმოს გადამეტებით გაუგზავნეს 2100 ტონა ქვანახშირი. შახტის საგეგმო განყოფილების ოპერატიული მონაცემებით ათ თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 29 ათასი მანეთის პროდუქცია, თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება საგეგმოსთან შედარებით გაიზარდა 2,8 პროცენტით, თითოეული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება გაიაფდა 21 კაპიკით. მარტო ამ გზით შახტის კოლექტივმა 58 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

საოქტომბრო შრომითს ვაბეზე დაწინაურდნენ ის ცვლები, რომლებსაც ხამთო ტექნიკოსები ს. ლილუაშვილი და ბ. გაბუნდაშვილი ხელმძღვანელობენ.

● ცხინვალი. (საკ. კორ.). საშვიდწოიმბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი შრომითი წარმატებები მოიპოვა ცხინვალის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა. მან გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 60 ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია.

მუყაითი შრომის შედეგად ცხინვალელმა ქიმიკოსებმა უკვე შეასრულეს მოგების წლიური გეგმა. ● გაათვალისწინებული 300 ათასი მანეთის ნაცვლად მიღებულია 380 ათასი მანეთის მოგება.

ყოველი დღე ქარხანაში დამკვრელურია. შეჯიბრების სათავეშია ლაქ-საღებავების საამქრო, სადაც 1800 ტონაზე მეტი ხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვეს, რაც დავალებას 80 ტონით აღემატება.

● ოქტომბრის დღესასწაულების წინ ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ შორეულ ატლანტიკაში მყოფ თევზსაჭერ ტრალერ „ოზერსკიდან“ მიიღო რადიოგრამა-ელვა „არის თევზჭერის ხუთწლიანი გეგმა“, რომლითაც აღინიშნა მეორე მოვლენაც ქართველ მებადურთა შრომითს ცხოვრებაში, სამმართველოს კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

სამმართველოს კოლექტივის წარმატებას ბევრად შეუწყო ხელი თევზსაჭერი ტრალერების „საქართველოსა“ და სხვების დამკვრელურმა შრომამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ვაგონები არ შიდა მოცდეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვაგონების გადმოტვირთვისათვის რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი (ამხ. თევდორაშვილი), ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო (ამხ. ბუდუმიანი), სასოფლო მშენებლობის სამინისტრო (ამხ. გლურჯიძე), საწარმოო გაერთიანება „აზოტი“ (ამხ. გოგოლაძე) დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს მეტისმეტად აცდენენ ვაგონებს. ოქტომბრის 17 დღის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში საშუალოდ დღე-ღამეში გადმოუტვირთავი რჩებოდა 59 ვაგონი, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში — 40, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბაზით — 11, გაერთიანება „აზოტში“ — 40 ვაგონი.

17 ოქტომბერს მოწყობილი შემოწმების დროს დადგენილია, რომ თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში (ამხ. ლორთქიფანიძე) 8 ოქტომბრიდან მოცდა კომბინირებული საკვებით დატვირთული 6 ვაგონი. ამასთან შემოწმების მომენტში ამ ვაგონების გადმოტვირთვაზე არავინ არ მუშაობდა.

რუსთაველის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ (ამხ. გოგოლაძე) 17 ოქტომბერს 18 საათისათვის ნორმატივის გადაჭარბებით მოცდენილი იყო 38 ვაგონი, მათ შორის 13 დახურული და ნახევარვაგონი, აგრეთვე 25 ცისტერნა.

ლილოს ხილბოსტნეულის ბაზაში (ამხ. აბაშიძე) შემოწმების დღეს 30 ვაგონი იყო გადმოსატვირთი.

ამის შედეგად 17 ოქტომბერს მარტო ამ სამინისტროებსა და გაერთიანებებში ვაგონების რესურსების დანაკარგებმა თითქმის 46,5 ათასი ტონა შეადგინა.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შექმნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც გადმოუტვირთავი ვაგონების რიცხვი უკანასკნელ 1,5-2 თვის მანძილზე დღეღამეში 150-200 ვაგონს შეადგენს.

ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია ვაგონების გადმოტვირთვის სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია და ის, რომ აღნიშნული სამინისტროები, უწყებები და საწარმოები, აგრეთვე შესაბამისი რეგიონალური სატრანსპორტო კომისიები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამხანაგებს თევდორაშვილს, ბუდუმიანს, გლურჯიძეს და გოგოლაძეს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ვაგონების სტაბილური და დროული გადმოტვირთვის უზრუნველსაყოფად და გაფრთხილა ისინი, რომ თუ მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეიცვლება, მათ პარტიული პასუხი მოეთხოვებათ.

მიღებულია ცნობად, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვაგონების გამოყენების საკითხს უახლოეს დროში განიხილავენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.

აღინიშნა ქალაქ რუსთავის (ამხ. ასანიშვილი), თბილისის საქარხნო რაიონის (ამხ. ქათამაძე), ბოლნისის რაიონის (ამხ. რეხვიაშვილი) სატრანსპორტო შტაბების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ამ ამხანაგებმა უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ვაგონების დროული გადმოტვირთვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო, ბოლნისის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განიხილონ საწარმოო გაერთიანება „აზოტის“, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკისა და ლილოს ხილბოსტნეულის ბაზის ხელმძღვანელთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს ვაგონების მოცდენა და არ უზრუნველყეს მათი დროული გადმოტვირთვა.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების სატრანსპორტო კომისიებს წინადადება მიეცათ მიაღწიონ იმას, რომ საანგარიშგებო დღე-ღამეთა დამლევისათვის რესპუბლიკის საერთო სარეებლობის რკინიგზის სადგურებში და საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ ლიანდაგებზე არ რჩებოდეს არც ერთი გადმოუტვირთავი ვაგონი.

გაითვალისწინა რა, რომ ვაგონების გადმოტვირთვის დაგვიანების ფაქტები არის რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებს განიხილონ ეს საკითხები ბიუროს სხდომებზე და მკაცრი ღონისძიებანი განახორციელონ დამნაშავეთა მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აგრეთვე სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი რესპუბლიკაში ვაგონების გადმოტვირთვასთან დაკავშირებით საქმის ვითარების სამოლოოდ მოწესრიგებისათვის.

(საქინფორმი).



შავ ზღვას—სუფთა წყლები

...საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საზღვაო ინსპექციამ დიდი თანხით დააჯარიმა ლიბერიის გემი „ფონიქსტერი“, რომლის მეზღვაურებმა ბათუმის ნავსადგურში სატვირთო ოპერაციის დროს ზღვაში ნავთობპროდუქტი ჩაღვარეს. საბერძნეთის გემ „ჯონ მიხალოფიდან“ გაფონა 50 კილოგრამმა დიზელის სათბობმა, რისთვისაც ჯარიმა დაიმსახურა, დაჯარიმდა ამავე ქვეყნის თბომავალი „პანიოტი“ ზღვაში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ნაგვის გადაყრისათვის. საჯარიმო სანქციები მიღებულია მაგისტრალური ნავთობსადენის „სახკომნავთობპროდუქტის“ მიმართაც.

ინსპექციის ეურნალში დაჯარიმებულთა სია საკმაოდ დიდია. დღისით და ღამით ინსპექციის მუშაკები გულმოდგინედ ამოწმებენ ნავთობმზიდი ტანკერების ბერმტულობას, გემების აღებულ ტანკერების სატვირთო ოპერაციებისათვის, ზღვაში ნავთობის გაფონვის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს. მაგრამ ყოველსშემძლენი არც ისინი არიან, მათაც არ შეუძლიათ ყველაფერს თვალყური ადევნონ, პროფილაქტიკურად აღკვეთონ.

ინსპექციის მუშაკებისათვის ბუნების დაცვა მარტო ფორმალური გაგება კი არ არის, ისინი ზრუნავენ აქარის შესანიშნავი სუბტროპიკების ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის, შავი ზღვის წყლის სისუფთავისათვის.

სურათებზე: ბათუმის „წყალარხის“ ტრაქტის ლაბორანტი მარინე ბორავა ამოწმებს მდინარე აქარისწყალში წყლის სისუფთავეს; სპეციალური ხელსწყოების დახმარებით ბდება ზღვაში ჩაღვრილი ნავთობპროდუქტების კერის ლოკალიზაცია; აქარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის უფროსი ინჟინერ-ჰიდროქიმიკოსები რევაზ დიასამიძე და ანზორ ცინცაძე გემ „გიორგი ლეონავზე“ ბათომეტრით საანალიზოდ იღებენ ზღვის წყალს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

3 ნოემბერს მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილმა სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. მოხსენება „სოციალიზმის ქვეყნების განვითარების ზოგიერთი საკითხი“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა გ. ხ. შახნაზაროვმა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები პ. გ. გელაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი. (საქინფორმი).

საკდესის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირების, მათ შორის, პრეზიდენტის, სახელმწიფო მდივნისა და თავდაცვის მინისტრის გამონათქვამები მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს განახორციელოს ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაცია ლიბანში, რათა მასირებული დარტყმა მიაყენოს ამ ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს. იმ ფაქტს, რომ ასეთი ოპერაციის სამზადისი მიმდინარეობს, ადასტურებს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცნობებიც.

ამერიკის შეერთებული შტატების. მთავრობა, რომელიც უბრალოდ ერევა ლიბანელი ხალხის საშინაო საქმეებში, უნეშად თელავს ლიბანის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ააშკარავებს, რომ არარად აგდებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და პრინციპებს.

ვაშინგტონი პირფერულად ამტკიცებს, თითქოს შეერთებული შტატები „მშვიდობისმყოფლურ მისიას“ ასრულებს, ამასთან დაძაბულობას, რომელიც ლიბანის წინააღმდეგ მისი მზარდაჭერით განხორციელებული ისრაელის აგრესიისა და შემდეგ ამ ქვეყანაში ამერიკის ჯარების შეყვანის შედეგად წარმოიშვა,— იყენებს, რათა კიდევ უფრო გააფართოოს და დაამკვიდროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა როგორც ლიბანში, ისე მთლიანად ახლო აღმოსავლეთში.

მას შემდეგ, რაც ლიბანის მთავრობას თავს მოახვია ისრაელთან დადებული კაბალური ანტიარაბული შეთანხმება, რომელსაც გადაჭრით უარყოფენ ლიბანელთა უმრავლესობა და არაბული ქვეყნები, ახლა შეერთებულმა შტატებმა მოიწადინა გაუსწორდეს ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, რომლებიც ისრაელისა და ამერიკის ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

„მშვიდობისმყოფლურ როლს“, ასე უტიფრად რომ იჩემებს ვაშინგტონი, ნამდვილი ტრაგედია მოაქვს როგორც ლიბანელი ხალხის, ისე მთლიანად ლიბანის სახელმწიფოსათვის. ქვეყანა ფაქტიურად დანაწევრებული აღმოჩნდა. ეჭვქვეშ დადგა მისი როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული არაბული ქვეყნის არსებობა.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული მოქმედება ლიბანში —როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმული, —მხოლოდ ნაწილია ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის ზოგადი აგრესიული, მილიტარისტული კურსისა, რამდენადაც ადმინისტრაციამ სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადა საერთაშორისო ტერორიზმი და ძირგამომხრელი ოპერაციები. ამ პოლიტიკის მტაცებლური არსი გამოვლინდა აგრეთვე მაშინ, როდესაც შეერთებული შტატები ყოველად უმიზეზოდ დაესხა თავს პატარა, მშვიდობისმოყვარე, მიუმხრობელ სახელმწიფოს — გრენადის. გრენადის წინააღმდეგ მოწყობილი აგრესიისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საყოველთაო გმობა და იზოლაცია, რომელშიც იგი აღმოჩნდა ამასთან დაკავშირებით, თითქოს სეერიოზული გაფრთხილება უნდა ყოფილიყო ვაშინგტონისათვის.

ამერიკის შერთებული შტატების პრეტენზიები — დაამყაროს ამერიკული წესები ქვეყნებში, რომელთა საზოგადოებრივი წყობაც მას არ ეპატნავება, მისწრაფება — დაიყენოს საკუთარი თავი, თავისი ვიწრო ინტერესები, საერთაშორისო სამართალსა და საკაცობრიო ინტერესებზე უფრო მაღლა, გადააქციოს სამართლიანობისა და კანონიერების საზომად ძალა—ყოველივე ამან არ შეიძლება მძიმე შედეგები არ მოუტანოს არა მარტო სხვებს, არამედ თვით შეერთებულ შტატებსაც.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში საჭიროდ მიიჩნიათ მთელი სერიოზულობით გააფრთხილონ ამის თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმ გეგმებთან დაკავშირებითაც, რომლებსაც ვაშინგტონი იზრახავს ლიბანის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის გაფართოებისათვის.

ПАРАДИს მონაწილეთა შეკრება

4 ნოემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავისადმი მიძღვნილი მომავალი სამხედრო პარადის მონაწილეთა საზეიმო შეკრება.

საზეიმო მარშის ხმებში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შემოაქვთ დიდების შარავანდედით მოსილი საბრძოლო დროშები. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი მ. სოკოლოვი ხსნის კრებას, ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფოთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. მ. არხიპოვმა.

რიგითმა ს. ბატაევმა, პოდპოლკოვნიკმა დ. დეშინმა და სხვა ორატორებმა დამსწრეთ აღუთქვეს, რომ საპარადო ჯგუფეულის ნაწილების პირადი შემადგენლობა ღირსეულად შეასრულეს დაკისრებულ საპატიო ამოცანას.

ამიერკავკასიელ მეომრებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის გმირი, მოსკოვში გამარჯვების პარადის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი გ. კრამარენკო და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ჩაჩავა.

შეკრების მონაწილეებმა

იდეოლოგიურ მუშაობას-მეცნ. მიზანმიმართულება, კონკრეტულობა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივანთა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეთა რესპუბლიკური სკოლის მეცადინეობა, რომელმაც განიხილა პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაძლიერების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

მეცადინეობის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური, პროპაგანდისტული მუშაობის ქმედითობის ამაღლებას, მისი მიზანმიმართულების, კონკრეტულობის, ცხოვრებასთან კავშირის უზრუნველყოფას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ იდეოლოგიური ფრონტის ყოველმა მუშაკმა ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი პარტიის საპროგრამო მითითებათა რეალიზაციის საქმეში, დარაზმოს მშრომელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად.

დღევანდელობის მოთხოვნების შესაბამისად გააანალიზეს იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკის აქტუალური საკითხები თვიანთ გამოსვლებში საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. გუგუნავამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა თ. მ. ჯაფარიძემ, პარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ნ. გურჯიძემ, პარტიის ცხინვალის რაიკომისა და თეთრწყაროს რაიკომის მდივნებმა რ. ა. ჩოჩიევმა და ც. ი. ბაიდარაშვილმა.

საფუძვლიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა სექციებში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითობის ამაღლების გზებისა და საშუალებების შესახებ. მათმა მონაწილეებმა განიხილეს იდეოლოგიური მუშაობის დაგეგმვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მოწინავე გამოცდილების პრაქტიკული დანერგვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის გაუმჯობესების საკითხები. მეცადინეობის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლის გაძლიერების ამოცანები, ორი სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების პირობებში მშრომელთა პოლიტიკური შეგნების ამაღლების საკითხები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე მშრომელთა სულიერი გამდიდრების, მეცნიერული-ტექნიკური პროპაგანდის, ეროვნული მიზანმიმართულ პროპაგანდას.

მეცადინეობაზე გაჟღერებულ აღინიშნა, რომ მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის უაღრესად პასუხსაგები ამოცანაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების იდეოლოგიური უზრუნველყოფა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკა შეიცავს უდიდეს იდეურ-აღმზრდელობითს, ზნეობრივ მუტხს. მისი მთავარი და საბოლოო მიზანია კონკრეტული ზრუნვა კონკრეტული ადამიანის, მისი საჭიროებებისა და მოთხოვნებისთვის. ამიტომ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ჰუმანისტური, ღრმად ხალხური არსის განმარტება წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ადამიანის აღზრდა — შრომითი, იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდა, ახლებური ტიპის ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება, დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის განმტკიცება წინა პლანზე დგება როგორც სამეურნეო, ისე სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში.

პარტიას მიაჩნია, რომ ადამიანი უნდა აღიზარდოს არა უბრალოდ როგორც გარკვეული ცოდნის მატარებელი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქე, კომუნიზმის აქტიური მშენებელი, მისთვის დამახასიათებელი იდეური დაწყობით, მორალითა და ინტერესებით, შრომისა და ყოფაქცევის მაღალი კულტურით, და ამიტომ აყენებს ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მთელი არსენალის უფრო ეფექტიანი გამოყენების ამოცანას. ეს არის პრესა, რადიო და ტელევიზია, ზეპირი პროპაგანდა და აგიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების ქსელი. მაქსიმალურად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი, უფრო ზუსტი კოორდინაცია გაუწიონ მათ თანამოქმედებას, მჭიდროდ დაუკავშირონ მათი მუშაობის გეგმები საკვანძო სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებას— აი რა უნდა იყოს დღეს განმსაზღვრელი ყველა პარტიული ორგანიზაციის, თითოეული პარტიის წევრის საქმიანობაში.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის ორგანული შერწყმა საჭირო შედეგის მიღების ნაკადი გზაა. და აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიეაღწიოთ ნამდვილ, და არა მოჩვენებითს გარდაქმნას, რომელიც უზრუნველყოფს იდეოლოგიური მუშაობის დონის თვისებრივ ამაღლებას, აღინიშნა მეცადინეობაზე. ამას ხელს უწყობს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებაც. სწორედ ამიტომ, პარტიულმა კომიტეტებმა ნიადაგ უნდა ეძებონ მუშაკიის ინიციატივის განვითარების, წარმოების მართვაში მისი როლის ამაღლების გზები. არადა, ძალების საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის ამაღლების ეს დიდმნიშვნელოვანი წყარო ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება.

მეცადინეობამ განიხილა ეკონომიკურ-იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული დამახასიათებელი ნაკლოვანებანი, ისეთები, როგორიც არის ღონისძიებათა სიმრავლით გატაცება, მისწრაფება, რომ ყველაფერი დაეთმოს მხოლოდ და მხოლოდ საქმის მოჩვენებითს, ფორმალურ მხარეს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს პრინციპული მიდგომა იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, განმტკიცდეს მისი კავშირი ცხოვრებასთან, შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი საარსებო ამოცანების გადაწყვეტასთან.

მეცადინეობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. შ. ენდელაძემ.

(საქინფორმი).

4 ნოემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლესიო იუწყება

ეძღვნება ოქტომბერს

ჩეხოსლოვაკია

პრაღა. დიდი ოქტომბრის 66 წლისთავთან დაკავშირებით გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი პრაღის ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე. ცერემონიაში მონაწილეობდნენ ქალაქის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შრომისა და ომის ვეტერანები. ამავე დღეს გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა ტანკისტების ძეგლი, რომლებმაც ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან პრაღა გათავისუფლეს.

ინდოეთი

• დელი. ინდოეთში დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. ქვეყნის მოლინინობით მცხოვრები მოსახლეობას მიიღებს მასობრივ მიტინგებში, კონფერენციებსა და სემინარებში, გაეცნობა გამოფენებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დარგში, სსრ კავშირის თანამიმდევრულ ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისათვის ვ. ი. ინდოეთის დედაქალაქში ერთთვიურის ფარგლებში გამართება კინოფესტივალი „სოციალიზმის სამყარო და ოქტომბრის რევოლუცია“, „სიმპოზიუმი“ ოქტომბრის რევოლუციის თემა ინდურ ლიტერატურაში“, სხვადასხვა ფოტოგამოფენები. ერთთვიურის მრავალფეროვანი ღონისძიებანი მოიწყობა ქვეყნის უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში — ბომბეიში, კალკუტასა და მადრასში, უტარპრადეშის, ბიჰარის, დასავლეთ ბენგალიისა და სხვა შტატების მრავალ ქალაქში.

ღონისძიებათა ,მომზადებასა და მოწყობაში აქტიურად მონაწილეობენ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისა და საზოგადოება-„საბჭოთა კავშირის მეგობრობის“ ადგილობრივი განყოფილებები.

ავღანეთი

ქაბული. ავღანეთის დედაქალაქში დაიწყო დიდი ოქტომბრის 66 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა კინოს კვირეული. ავღანელი მაყურებელი ნახავს მთელ რიგ ფილმებს, რომელთა შორისაა „ლენინი ოქტომბერში“, „სიძიულვილი“, „პირადი ცხოვრება“ და სხვა. კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა ავღანეთის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება. „საბჭოთა კინო, — თქვა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. მასუდმა, — მაღალი მხატვრული ფორმით ეკრანზე ყოველთვის ასახავს ცხოვრების რეალურ პრობლემებს.

მან მაღალი შეფასება მისცა ორი ქვეყნის კინემატოგრაფისტთა თანამშრომლობას, აღნიშნა, რომ წარმატება ხვდა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივ მხატვრულ ფილმს „ქაბულის ცხელი ზაფხული“.

კ ო ნ გ ო

ბრაზავილი. ლოზუნგით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის ხალხების მეგობრობას!“ ბრაზავილის მ. ნგუბის სახელობის უნივერსიტეტში დაიწყო საბჭოთა კულტურის კვირეული, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის სახელოვან იუბილეს მიეძღვნა.

დიდმა ოქტომბერმა ახალ ეპოქას მისცა დასაბამი კაცობრიობის ისტორიაში, განაცხადა საზოგადოებრიობის საზეიმო კრებაზე უნივერსიტეტის რექტორმა ს. მაკოსომ. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინს ხელმძღვანელობდა განხორციელებული ამ ეპოქალური ნაბიჯი. „საბჭოთა სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ისტორიულ გარდაქმნებს კოლონიალიზმის უღელქვეშ მყოფი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხების ბედში. მან პირველმა დაამყარა ახალი პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, და უდიდესი ზეგავლენა მოახდინა პლანეტის ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის მიმდინარეობაზე.

ი ე მ ე ნ ი

სანა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავთან დაკავშირებით აქ გაიმართა იემენის არაბთა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მოაწყვეს „იემენის არაბთა რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოების აქტივისტებმა.

იემენის არაბთა რესპუბლიკის საყოველთაო-სახალხო კონგრესის მუდმივი კომისიის მდივნის მოადგილემ ა. ჰ. ალჰადიმ, რომელიც დამსწრეთა წინაშე გამოვიდა, მაღალი შეფასება მისცა ჩრდილოეთ იემენის ხალხისათვის საბჭოთა კავშირის მიერ გაწეულ დახმარებას რევოლუციურ მონაპოვართა განმტკიცების საქმეში, აგრეთვე სსრ კავშირის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებაში. მან რწმენა გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა კვლავაც განვითარდება საბჭოთა და ჩრდილოეთ იემენის ხალხების საკეთილდღეოდ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲔᲜᲐ. ავსტრიელი მკითხველები დიდი ინტერესით შეხვდნენ წიგნის მაღაზიების დახლებზე გამოჩენილ ახალ წიგნს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებისა და სტატიების კრებულს, რომელიც გერმანულ ენაზე გამოსცა დასავლეთ გერმანიის „პალ-რუგენშტაინის“ გამომცემლობამ. მასში შეეიდა ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, მოხსენება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის გამო კრემლში გამართულ საზეიმო სხდომაზე, სხვა მასალები, რომლებიც ეძღვნება სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ი. ვ. ანდროპოვი საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა მრავალი ინიციატივით, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება ჩვენს პლანეტაზე, ბირთვული ომის თავიდან აცილება, წერს ავსტრიელი . მკითხველებისადმი წიგნის წარდგენისას ავსტრიელ კომუნისტთა თეორიული ჟურნალი „ვეგ უნდ ც�ილი“. სწორედ ახლა, საერთაშორისო ვითარების გამწვავების პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული წინადადებები გავაცნოთ ავსტრიის საზოგადოებრიო ბ ი ს ფართო წრეებს. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის ორგანოები მუდამ საკმაო დაწვრილებით არ იუწყებიან მათ შესახებ. მკითხველს ახლა საშუალება აქვს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას უშუალოდ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის შრომებით გაეცნოს, აღნიშნავს ჟურნალი.

ᲒᲠᲔᲜᲐᲓᲐ: ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲣᲠᲘ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ

• ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ „ᲣᲐᲢᲐᲪᲔᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ • ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲪᲐᲪᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲡ • ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ „ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘ“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა შეიჯარა გრენადის ოკუპაციის ოპერაცია და ოფიციალურად აუწყა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომ შეწყდა საომარი მოქმედება კარიბის ზღვის ამ ერთი ციცქნა კუნძულზე, რომელსაც ვაშინგტონმა თავს დაატეხა დიდი ინტერვენციონისტული ძალები საბრძოლო ხომალდების, ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების, ვერტმფრინავების მონაწილეობით.

როგორც უაინბერგერმა აცნობა, ამერიკის ჯარებს ნაწილობრივ გაიყვანენ გრენადიდან. ამასთან ზოგიერთ ნაწილს, პენტაგონს წარმომადგენელთა გაცხადებების თანახმად ლიბანში გადაიყვანენ. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, გრენადაში დარჩება დაახლოებით სამი ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც განაგრძობენ ოპერაციებს წინააღმდეგობის ჩასახშობად. თუ პრესის ცნობებით ვიმსჯელებთ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეების გრენადიდან გაყვანასა და ეგრეთ წოდებული „მრავალეროვანი ძალების“ ჯარისკაცებით მათ შეცვლას რამდენიმე კვირა დასჭირდება. ამ „მრავალეროვან ძალებს“ ახლა ქმნის შეერთებული შტატები.

გრენადაში მყოფი დასავლელი კორესპონდენტები იუწყებიან ოკუპანტების თარეშის შესახებ, რომლებიც დაძრწიან სენტ-ჯორჯესის ქუჩებში, აწყობენ მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას, აპატიმრებენ პატრიოტებს. ინტერვენტებმა ტყვედ იგდეს ბევრი გრენადელი, რომლებმაც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს ოკუპანტებს. ბევრ მათგანს ელის სამსჯავრო, რომლის სცენარს ახლა ინტერვენციონისტული ძალების სამხედრო სარდლობა ამუშავებს.

ამერიკის ორგანიზაციის — საერთაშორისო განვითარების სამართველოს — დირექტორმა პ. მაკფერსონმა აღიარა, რომ გრენადაში შეიარაღებული შეჭრის შედეგად კუნძულის ეკონომიკას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა. დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, წყალსადენი, ელექტროსადგურები, რის გამოც მნიშვნელოვნად შეფერხებულია მოსახლეობის მომარაგება სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, საწვავით, რომელი მდგომარეობაა სამედიცინო მომსახურების დარგში.

ვაშინგტონში ადმინისტრაციის განაგრძობს ამერიკელ კანონმდებელთა დამუშავებას, რათა მოიპოვოს კონგრესში სუვერენული გრენადის წინააღმდეგ ომი ვისი ბანდიტური აქციის მხარდაჭერა, ამასთან აღვიშვებს კუბის საწინააღმდეგო ისტერიას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეხვდა სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერს, ბ. ბეიკერს, რომელმაც, მოგვიანებით განუცხადა ჟურნალისტებს, რომ რეგანი მიიღებს კონგრესის მხარდაჭერას, თუ გამოაქვეყნებენ გრენადაში თითქოს ხელში ჩაგდებულ „საიდუმლო დოკუმენტებს“. ბეიკერის თქმით, საქმე ეხება დოკუმენტებს, რომლებიც „მოწმობს, რომ კუბასა და საბჭოთა კავშირს გადაწყვეტილი ჰქონდათ გადაეცათ გრენადა სამხედრო ბაზად კარიბის ზღვის აუზში და მთელ დასავლეთ ნახევარსფეროში ავანტიურების განსახორციელებლად“.

ამგვარი „სენსაციები“, რომლებითაც დროდადრო გამოდის რეიგანი, უკვე არაერთხელ უმხელია თვით ამერიკის პრესასა, როგორც აშკარა სიცრუე. მას შემდეგ, რაც დაიწყო გრენადაში შეჭრა, აღნიშნავს სი-ბი-ესი, რეიგანის ადმინისტრაცია იმოწმებს იმ საფრთხის „დამამტკიცებელ საბუთებს“, რომელსაც კარიბის ზღვის რეგიონს უქმნიან კუბა და საბჭოთა კავშირი. მაგრამ მაინც რა აღმოაჩინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გრენადაში. თავდაპირველი განცხადებების თანახმად ამერიკელებს იქ დახვდათ კუბელთა კარგად ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობა. მაგრამ ახლა დაზვერვის წყაროები აღიარებენ, რომ კუბელთა დიდ უმრავლესობას მართლაც მშენებელი მუშები შეადგენენ.

ამერიკის პრესა სარკაზმით წერდა გრენადის გამგებლობაში მყოფ კარიაკუს კუნძულზე დიდი დესანტის გადმოსხმის შესახებ. სადესანტო გემებითა და ვერტმფრინავებით იქ გადაიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 500 სანღვაო ქვეითი ჯარისკაცი. გადმოსხმას ასაღებდნენ როგორც ბენტაგონის ოპერაციას „კუბის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს კუნძულზე იმყოფებოდნენ და წინააღმდეგობის გაწევას აპირებდნენ. მაგრამ „აღოიაკუზე არც ერთი კუბელი სამხედრო მოსამსახურე არ აღმოჩნდა. მედესანტეებმა იქ დააპატიმრეს მოძველებული ნიმუშის შაშხანებით შეიარაღებული მხოლოდ 17 გრენადელი ჯარისკაცი. ეი, რად ღირს პროპაგანდისტული აურზაური, რომელსაც უსირცხვილოდ აღვივებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი ხელქვეითები.

უკანასკნელ საათს

გენერალური მდივნის მოადგილის გამგზავრება

ნიუ-იორკი. გრენადაში ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრის საკითხი კვლავ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უურადღების ცენტრშია. აქ გამოაცხადეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე დ. კორდოვესი სასწრაფოდ გაემგზავრა ამერიკის მხედრიონის მიერ ოკუპირებულ კუნძულზე ვითარების გასაცნობად.

გამგზავრება მოხდა გენერალური ასამბლეის მიერ წინა დღით მოწონებული იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს გრენადაში სამხედრო ინტერვენციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და უცხოეთის ჯარების გაყვანას. ეს რეზოლუცია შეიცავს აგრეთვე თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი 72 საათის განმავლობაში წარმომადგენის მოხსენება გრენადაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებას რომ მიიღებს, გენერალური ასამბლეა განაგრძობს კუნძულზე ამერიკის შეჭრის საკითხის განხილვას.

ᲘᲠᲐᲜ-ᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

ნიკოზია. ირანის ჯარებმა 8 ნოემბერს ღამით დაიწყეს ახალი იერიში ქალაქ პანჯვინის რაიონში ირან-ერაყის ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე. როგორც თეირანის რადიო იუწყება, საბრძოლო მოქმედების მწვალლობაში დაიპყრეს ერაყის 11 დასახლებული პუნქტი, მოკლული და დაჭრილია 1200 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე.

ბაღდადი. როგორც ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეშია ნათქვამი, შეაჩერეს რა ირანის ძალების წინსვლა პანჯვინის რაიონში, ერაყის ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ. ცხარე ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგემ დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა დაკარგა. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეუტიეს ირანის პოზიციებს ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე, აგრეთვე სამხედრო სამიზნეებს ირანის ტერიტორიის სიღრმეში.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ანკარა. უკანასკნელი 60 წლის მანძილზე თურქეთის მოსახლეობა 3,5-ჯერ გაიზარდა. როგორც ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტის მოხსენებაშია ნათქვამი, 1927 წელს თურქეთის რესპუბლიკაში 13,5 მილიონზე მეტი მცხოვრები იყო. ამჟამად თურქეთის მოსახლეობამ 47 მილიონს გადააჭარბა.

ᲔᲣᲚᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲠᲔᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ

●ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. დაბეჭდა რა რეგანის ადმინისტრაციის ნება, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა ხმა მისცა ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარების განგრძობას. მუხლი დახმარების თაობაზე შეტანილია 1984 საფინანსო წელს დაზვერვის ასიგნებათა კანონპროექტში, რომელიც სენატორებმა მოიწონეს. რევოლუციური ნიკარაგუიდან გაძევებულ სომოსელ ბანდიტთა დასახმარებლად გათვალისწინებულია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს არსებით დაიხარჯოს დაახლოებით 20 მილიონი დოლარი.

კანონპროექტი განსახილველად გადაეცა კონგრესის შემთანხმებელ კომისიას.

ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

● ლუსაკა. ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ გამოაცხადა ქვეყნის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შეიქმნა გასულ თვეში გამართული პარლამენტის არჩევნების შედეგად.

პრემიერ-მინისტრის პოსტზე დარჩა ნ. მუნდია, საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლავ სათავეში ჩაუდგება ლ. გომა. ზამბიის თავდაცვის ახალი მინისტრად გახდა ჯ. მვანანშიკუ, რომელსაც ადრე ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პოსტი ეკავა.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ

● ტოკიო. ვაშინგტონის ადმინისტრაციის ზემოქმედებით იაპონიის მთავრობამ ერთი წლით გაიგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომობილების ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები. გარიგებას ამ საკითხში მიაღწიეს იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ს. უნოსა და სავაჭრო მოლაპარაკებაზე ამერიკის წარმომადგენელ უ. ბროკს შორის აქ გამართული შეხვედრის დროს. მხარეებმა დათქვეს, რომ 1984 საფინანსო წელს იაპონია ოკეანის გაღმა მიაწვდის 1,84 მილიონ ავტომანქანას.

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐ

● მადრიდი. ესპანეთის შრომის მინისტრის ხოაკინალ მენის გადაყენების რეზოლუცია მიიღეს აქ დამთავრებული მშენებელ მუშათა პროფკავშირის ყრილობის მონაწილეებმა. ეს დოკუმენტი მიიღეს მთავრობის იმ პოლიტიკის პროტესტის ნიშნად, რომელიც მიზნად ისახავს სამშენებლო მრეწველობაში წარმოების შეკვეცას და მასობრივი დათხოვნით ემუქრება მშრომელებს.

„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ

